„ჩინგუტი საქართველოა, სიმქმი ჩვენ ვართ ყველაო“

ოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2022 წელი ● №19-20 (9537-9538) ● 1-31 ოქტომბერი ● ფასი 1 ლარი

2022 წლის 1 ოქტომბრის თვითმმართველი თემის –სენაკის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს-საკრებულოს შუალედური არჩევნების კანონიერ ძალაში შესული შემავჯამებელი ოქმის მიხედვით №64-04 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში თვითმმართველი თემის – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეულია ზაზა ყურაშვილი

მუნიციპალიტეტის მერიაში

ახალი სააღმზრდელო წელი

სენაკის მუნიციპალიტეტის 27 საბავშვო და ბაგა-ბაღში ახალი სააღმზრდელო წელი დაიწყო.

პედაგოგებს, მოსწავლეებს და პატარა აღსაზრდელებს ქალაქის პირველ და მეოთხე ბაგა-ბაღებში სასწავლო წლის დაწყება, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ და საკრებულოს წევრმა, საბა ოდიშარიამ, შესაბამისი სექტორის წარმომადგენლებთან ერთად მიულოცეს.

მიმდინარე სააღმზრდელო წელს, 1008 აღსაზრდელს კეთილმოწყობილი და სტანდარტების შესაბამისი გარემო დახვდა. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სასკოლო მზაობის 8 ჯგუფი, სადაც 369 აღსაზრდელი დაეუფლება საგაკვეთილო უნარ-ჩვევებს.

განახლებული საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მიმართულებით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა №1 ბაგა-ბაღს, კერძოდ, სააღმზრდელო, სასაწყობე ოთახებს, სველ წერტილებს, გარე ფასადს; გამოიცვალა ფანჯრები, განხორციელდა საკონცერტო დარბაზის კეთილმოწყობისა და სამზარეულო შენობის გადახურვის სამუშაოები. ამ დროისთვის, ქალაქ სენაკში, ელიავას ქუჩაზე, №3 საბავშვო ბაღის მშენებლობის პროექტის განხორციელების პროცესი დაიწყო.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ბუნებრივი აირითა და ცენტრალური გათბობით უზრუნველყოფილ, თანამედროვე სტანდარტების შესაბამის, 100 აღსაზრდელზე გათვლილ ორსართულიან სააღმზრდელო დაწესებულებას აშენებს.

პროექტის ღირებულება 4 მილიონ ლარამდეა.

გათვალისწინებულია შიდა და გარე სივრცეების, რეკრეაციული ზონების, კომუნიკაციების, სველი წერტილების კეთილმოწყობა. ბაღი ადაპტირებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, 100 აღსაზრდელზე გათვლილი N4 საბავშვო ბაღი კი - საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის პროექტის - „ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის" ფარგლებში, 2021 წელს აშენდა.

კომისიის სხდომა

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, მერიის ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის გაფართოებული სხდომა გაიმართა.

შეხვედრას, მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე, ლევან ელიავა, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, პასუხისმგებელი პირი გენდერულ საკითხებში, ნანა ზარანდია, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ნატალია ხუბუა, საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დონარა ალანია, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი, ჯულიეტა ჩოჩია, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, ქალთა ფონდი „სოხუმის" პროექტების კოორდინატორი, თეა გოლეთიანი, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დარეჯან ზარანდია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების, სოციალური მომსახურების სააგენტოს სენაკის რაიონული განყოფილებისა და საგანმანათლებლო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სხდომა, რომელიც დიალოგის რეჟიმში წარიმართა, ფემიციდის ფაქტების საგანგაშო მატებას ეხებოდა.

აღინიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება წარმოადგენს ძალადობისგან დაცვის სახელმწიფო რეფერალური მექანიზმის სუბიექტს.

საქართველოს კანონმდებლობით, სხვადასხვა სახელმწიფო სამოქმედო გეგმებით, ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს უფლებამოსილება და ვალდებულება, ჩაერთოს ძალადობის პრევენციის, შემთხვევების იდენტიფიცირების, მსხვერპლთა დახმარების საკითხებში, რასაც მუნიციპალიტეტი პასუხობს შესაბამისი პროგრამებით, გაზრდილი კოორდინაციით სერვისის მიმწოდებელ სუბიექტებთან.

უწყებათაშორისმა კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, შეუერთდეს ქვეყანაში ყოველწლიურად დაგეგმილ 16 დღიან კამპანიას გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, რომელიც მსოფლიოს 187 ქვეყანაში, 1991 წლიდან აღინიშნება და მიზნად ისახავს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოსაფხვრელად, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

შეხვედრა - პრობლემების ერთი ფანჯრის პრინციპით განსახილველად

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში, ქალთა ფონდი ,,სოხუმის'' ორგანიზებით, ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, სენაკის ყოფილ სამხედრო დასახლებაში მცხოვრებ დევნილთა წინაშე მდგარი საყოფაცხოვრებო პრობლემების ერთი ფანჯრის პრინციპით განსახილველად, სამუშაო შეხვედრა შედგა. შეხვედრას სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ლევან ელიავა, ქალთა ფონდი ,,სოხუმის'' კოორდინატორი, ხათუნა გოგუა, მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურების წარმომადგენლები და ქალთა საინიციატივო ჯგუფის წევრები ესწრებოდნენ. შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის - იგპ ქალთა ასოციაცია ,,თანხმობის'', ქალთა საინფორმაციო ცენტრის, ფონდი ,,სოხუმის'', გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან (UN WOMEN) პარტნიორობით მიმდინარე პროექტის ,,ქალები და ახალგაზრდები - ქალების მშვიდობისა და უსაფრთხოების'' დღის წესრიგის ადგილობრივ დონეზე განხორციელებისათვის'' ფარგლებში წარიმართა.

სამხედრო ფიცი დადეს

თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის მე-10 კადრირებული ბრიგადის 101-ე, 102-ე და 103-ე ბატალიონების რეზერვისტებმა, სორტაში, სამხედრო ფიცი დადეს.

რეზერვისტებს საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა, რომან ჯოხაძემ რეზერვში ჩარიცხვა მიულოცა და ქვეყნის სამსახურში წარმატებები უსურვა.

ფიცის დადების ცერემონიალს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდალი, ბრიგადის გენერალი, კობა გრიგოლია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები - დავით კუხალეიშვილი და ლუდუკ ხასია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს წევრი, საბა ოდიშარია და შესამაბისი სექტორების წარმომადგენლები დაესწრნენ.

თავდაცვის ძალების წარმომადგენლებმა რეზერვისტებს და თვითმმართველობის წარმომადგენლებს სიგელები და სერტიფიკატები გადასცეს.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერს, ვახტანგ გადელიას, მადლობის სიგელი გადაეცა.

ღონისძიების დასრულების შემდეგ, 101-ე კადრირებული ბატალიონის დაზვერვის ოცეულმა, საჩვენებელი ტაქტიკური დავალება განახორციელა.

წარმატებული სპორტსმენები

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, კიკბოქსინგში საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულ ნორჩ სპორტსმენებს და მათ მწვრთნელს, ტაეკვანდოს ფედერაციის (ITF) პრეზიდენტს, შავი ქამრის მფლობელ ლაშა ჯოლოგუას შეხვდა, მოპოვებული გამარჯვება მიულოცა და წარმატებები უსურვა.

3 ოქრო და 1 ვერცხლი - ასეთია სენაკელი სპორტსმენების შედეგი ჩემპიონატზე!

(გაგრძელება მეორე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში
(გაგრძელება)

მიმდინარე სეზონზე სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა უმასპინძლა ჯერ რუსთაველის, შემდეგ ცხინვალისა და სოხუმის თეატრებს

რუსთაველის ეროვნული თეატრი

სენაკელი მაყურებლის წინაშე, წარმოდგენილ იქნა გიორგი ერისთავის პიესის მიხედვით დადგმული ერთმოქმედებიანი კომედია ,,ძუნწი''.

სპექტაკლს მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერის მოადგილე, ლევან ელიავა, საკრებულოს, მერიის, კულტურის სფეროსა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სპექტაკლში მაღალოსტატურ კომიკურ ფერებში არის წარმოჩენილი სიძუნწის ბინიერება, რომელიც ჭეშმარიტ გრძნობებთან ჭიდილში მარცხდება.

სპექტაკლის რეჟისორია გოჩა კაპანაძე.

ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის თეატრი

სენაკელი მაყურებლის წინაშე წარმოდგენილ იქნა სპექტაკლი - ,,მარო მაყაშვილის დღიური", რომლის სცენური ადაპტაცია სპექტაკლის რეჟისორს, ცხინვალის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, გოჩა კაპანაძეს ეკუთვნის; მხატვრობა - ლომგულ მურუსიძეს.

მსახიობებმა - თამარ გოგიძემ, თინათინ კობალაძემ, მაკა გელაძემ, დალი დოიჯაშვილმა, მადონა ტეხურმა და ანა ხურციძემ, შთამბეჭდავად გააცოცხლეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას შეწირული, პირველი ქართველი ეროვნული გმირი ქალის, მარო მაყაშვილის ცხოვრების გზა, რომელიც თავისუფლების, პატრიოტიზმის, თანასწორობის და ზოგადად, ყველა კეთილშობილი იდეალისთვის თავგანწირული ადამიანის სიმბოლოდ იქცა.

სპექტაკლს მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერის მოადგილე, ლევან ელიავა, საკრებულოს წევრი, საბა ოდიშარია, ადგილობრივი თვითმმართველობის, კულტურის სფეროსა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სოხუმის თეატრი

სოხუმის დაცემის დღეს, სენაკის აკაკი ხორავას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე, სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა სპექტაკლი „მთვარის მოტაცება“ წარმოადგინა.

სპექტაკლი რეჟისორ გოჩა კაპანაძის მიერ კონსტანტინე გამსახურდიას ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით დაიდგა და მასში ცნობილი ქართველი მსახიობები მონაწილეობდნენ.

სპექტაკლს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, მერის მოადგილე, ლევან ელიავა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ადგილობრივი თვითმმართველობის, თეატრალური სფეროსა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

29 წელი სოხუმის დაცემიდან

ჯვართამაღლების საუფლო დღესასწაული საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღეა, ხსოვნისა და იმედის დღე საქართველოში...

სოხუმის დაცემის 29-ე წლისთავთან დაკავშირებით და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივის მისაგებად, სახელმწიფო რწმუნებულმა სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, გიორგი გუგუჩიამ, სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ, ნინო ვიბლიანმა, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ, დავით კუხალეიშვილმა, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მერის მოადგილემ, ლევან ელიავამ, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებმა და რიგითმა სენაკელებმა, გვირგვინებით შეამკეს საქართველოს ეროვნული გმირების: ჟიული შარტავას, გენო ადამიას, გურამ გაბისკირიასა და ნოდარ კანკიას ბიუსტები.

1993 წლის 27 სექტემბერი საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული თარიღია – ეს არის სოხუმის დაცემის უმძიმესი დღე, ამასთან დღე, როდესაც ჩვენი ქვეყნის, მშობლიური სენაკის გამორჩეულმა შვილმა ჟიული შარტავამ, თავის თანამებრძოლებთან ერთად, თავი დადო სამშობლოსთვის და მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა.

სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით და აფხაზეთის ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაზე, სახელმწიფო დროშა დაეშვა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულების შესაბამისად, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ყველა ადმინისტრაციულ შენობაზე, საქართველოს სახელმწიფო დროშები დაშვებულ იქნა.

ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მოადგილესთან, ლევან ელიავასთან ერთად, ადმინისტრაციულ ერთეულებში საქმიანობის კოორდინაციის განყოფილებისა და მერის წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

მუნიციპალიტეტის მერმა, ადმინისტრაციულ ერთეულებში განხორციელებული, ამ ეტაპზე მიმდინარე პროექტების, არსებული გამოწვევებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო.

შეხვედრაზე საუბარი ასევე შეეხო ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს.

ამ დროისთვის, სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 55 ინფრასტრუქტურული პროექტი მიმდინარეობს.

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ წარმოადგენს სოფლად ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ერთ-ერთ მთავარ წყაროს. გადაწყვეტილებას კი, კონკრეტულად რომელი პრობლემაა მოსაგვარებელი, თავად მოსახლეობა იღებს.

ადმინისტრაციულ ერთეულებში წარმომადგენლების და ასისტენტების საქმიანობის უმთავრესი მიმართულება უნდა იყოს მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაცია, მათი პრობლემების შესწავლა, მოქალაქეთა საჭიროებებზე მორგებული გადაწყვეტილებების მიღება, არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის შესაძლებლობებზე, ხალხთან ღიად საუბარი.

ჩვენ, გუნდური მუშაობით, უნდა შევძლოთ ყველა წინასაარჩევნო დაპირების შესრულება, მიმდინარე და ახალი პროექტების სრულფასოვნად განხორციელება“ – აღნიშნა ვახტანგ გადელიამ.

ევროპის სასკოლო სპორტის დღე

პირველად, სენაკის მუნიციპალიტეტი ევროპის სასკოლო სპორტის დღის აღნიშვნას შეუერთდა.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის ორგანიზებით, ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე, მარათონი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მუნიციპალიტეტის ცხრა საჯარო სკოლამ მიიღო

(გაგრძელება მესამე გვერდზე)

მუნიციპალიტეტის მერიაში (დასასრული)

თბილისობაზე სენაკმა სამეგრელო წარმოადგინა

გიორგი ჩიტაიას სახელობის თბილისის ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა ,,თბილისობა 2022-ს" უმასპინძლა.

სენაკის მუნიციპალიტეტი თბილისობის სახალხო დღესასწაულს წელს, პირველად, მრავალფეროვანი და სანახაობრივად დატვირთული აქტივობებით შეუერთდა.

მუზეუმში გამართულ ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი, თეა წულუკიანი, მინისტრის მოადგილე, სოსო ბაღათურია, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ლევან ელიავა დაესწრნენ.

სენაკის კუთხემ ყველა ასაკის დამთვალიერებლისთვის საინტერესო და მრავალფეროვანი ღონისძიებები წარმოადგინა; გაცოცხლდა სამეგრელოს კუთხის ყოფა-ცხოვრება, ოჯახური რიტუალები, ლხინის, მოსავლის აღება-დაბინავების სცენები, წარმოდგენილი იყო პერფორმანსები, ტრადიციული მეგრული სამზარეულო, ადგილობრივ მეწარმეთა პროდუქცია, ხალხური რეწვის ნიმუშები, ელარჯის მომზადების მასტერკლასები, საწარმო ,, არიას" მიერ დამზადებული ყველის 50-მდე სახეობა.

ღონისძიების ფარგლებში, ეთნოგრაფიული მუზეუმის ამფითეატრში ფოლკლორულ ანსამბლთა კონცერტი გაიმართა.

თბილისქალაქობის სახალხო დღესასწაულზე მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა - ,,კოლხურმა ტრიომ", ,,მუსიკელმა", ,, გოგალაიმ", ქორეოგრაფმა, გიორგი კორშიამ, შალვა(ჯამუ) გარუჩავას სახელობის სახალხო ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,კუჩხიბედინერის" მოცეკვავეებმა, სენაკელმა მეწარმეებმა - მანანა მურღულიამ, მანონი სანიკიძემ, მაცაცო ხახუბიამ, ნანი თოლორდავამ, გიგა ჩემიამ; შპს ,,აგროინვესტმა", საწარმო ,,არიამ", სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსმა, გივი მისაბიშვილმა; მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკისა და ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტმა, დალი ქაჩიბაიამ, მერიის ადმინისტრაციული და შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებმა.

სენაკის მუნიციპალიტეტი ჩაერთო პროექტში - PACA

სენაკის მუნიციპალიტეტის მერია პარტნიორებთან თანამშრომლობით იწყებს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ინიციატივების განხორციელებას.

მუნიციპალიტეტი ჩაერთო პროექტში - PACA, რაც გულისხმობს კონკურენტული უპირატესობის ამაღლებას თანამონაწილეობის გზით. ამ საპილოტე პროგრამის განსახორციელებლად, საქართველოს ორი ქალაქი - სენაკი და ფოთი არიან შერჩეული.

შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ბაზაზე გამართულ შეხვედრას საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, მზია გიორგობიანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, სამუშაო ჯგუფისა და შესაბამისი სექტორების წარმომადგენლებთან ერთად დაესწრნენ.

ადგილობრივი სამუშაო ჯგუფი მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის, ბიზნესის, სამოქალაქო და საგანმანათლებლო სექტორების წარმომადგენლებით დაკომპლექტდა.

სამუშაო ჯგუფი, შვეიცარიის განვითარების სააგენტოს PACA-ს ექსპერტთა ჯგუფის ჩართულობით, მართავს სამუშაო შეხვედრებს.

პროექტის კვლევითი ეტაპი ითვალისწინებს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გამოწვევების იდენტიფიცირებას, ინიციატივების შემუშავებას, დასკვნით ეტაპზე - მათ ერთობლივად განხორციელებას.

პროექტი ხორციელდება ეროვნულ სამუშაო ჯგუფთან - რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის თანამშრომლობითა და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით.

მიეძღვნა მასწავლებლის დღეს

მასწავლებელთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის სულხან ცინცაძის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული საღამო, რომელსაც მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ლევან ელიავა, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი, გივი მისაბიშვილი, მერის თანაშემწე, მარინე ფაღავა, ხელოვნების ცენტრის დირექტორი, ვეფხვია ვეფხვაძე, შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები და პედაგოგები ესწრებოდნენ.

მერის მოადგილემ, ლევან ელიავამ, პედაგოგებს, რომლებმაც ჭეშმარიტი ხელოვნების სიყვარულით არაერთი თაობა აღზარდეს, პროფესიული დღესასწაული მიულოცა და წარმატებები უსურვა.

ხელოვნების ცენტრის სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო, ვოკალური, გიტარის, ვიოლინოს და ხალხური საკრავების განყოფილებების პედაგოგებისა და მოსწავლეების მონაწილეობით გამართულმა სანახაობრივად დატვირთულმა საღამომ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, რომ მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრში, ჭეშმარიტ ხელოვნებასთან ზიარების ტრადიცია გრძელდება და ვითარდება.

კოტიანეთის საჯარო სკოლაში

საგანმანათლებლო სფეროს განვითარებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი პირობების შექმნა, ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციისა და განახლების პროცესი უწყვეტად გრძელდება.

ამ დროისთვის დასრულებულია კოტიანეთის ადმინისტრაციული ერთეულის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები.

პროექტის ღირებულებამ 36 777 ლარი შეადგინა.

აღნიშნულ სამუშაოებს სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს წევრთან, ინგა ქარდავასთან და მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსთან, ედიკა ბერაიასთან ერთად გაეცნო.

მიმდინარე სასწავლო წელს, მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, განახლებული ინფრასტრუქტურული გარემოთი შეხვდნენ.

თითქმის ყველა სკოლას ჩაუტარდა ნაწილობრივი რეაბილიტაცია;

თეკლათის საჯარო სკოლაში სრულად გამოიცვალა ელექტროგაყვანილობის ქსელი.

აქტიურად მიმდინარეობს ნოსირის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაციის პროცესი.

უახლოეს პერიოდში იგეგმება მესამე საჯარო სკოლის მშენებლობა; ქალაქის პირველი და ძველი სენაკის საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია.

ზემო ჭალადიდში მიმდინარე სამუშაოები

სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია, საკრებულოს წევრებთან - საბა ოდიშარიასთან და ლევან უჩანეიშვილთან ერთად, სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბორნისკენ მისასვლელი გზის (ქვალონი-ზემო ჭალადიდი) რეაბილიტაციის მასშტაბური პროექტის მიმდინარეობას გაეცნო.

ქვალონი-ზემო ჭალადიდის დამაკავშირებელ, სამ კილომეტრამდე გზის მონაკვეთზე ასფალტო-ბეტონის საფარი დაიგება, მოწესრიგდება საგზაო ინფრასტრუქტურა.

წლების მანძილზე, გზის სავალ ნაწილზე შექმნილი დაზიანებები და მოშლილი ინფრასტრუქტურა მოსახლეობას გადაადგილებისას პრობლემას უქმნიდა.

მასშტაბური პროექტის ღირებულება 1 075 741 ლარს შეადგენს.

განახლებული გზით მოსახლეობა წლის ბოლოდან ისარგებლებს.

სისხლის დონაციის აქცია – „გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი!"

სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის - სისხლის ბანკის ინიციატივითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, მერიის საკონფერენციო დარბაზში, სისხლის უანგარო დონაციის აქცია - ,,გაუზიარე სიცოცხლე, გაიღე სისხლი!" - გაიმართა.

ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად, სენაკის მუნიციპალიტეტის მერმა, ვახტანგ გადელიამ, მუნიციპალიტეტის მერიის, მერიას დაქვემდებარებული სტრუქტურების თანამშრომლებმა, სისხლი უანგაროდ გაიღეს.

დონაციის აქცია ადამიანების სიცოცხლის გახანგრძლივებას, უმეტეს შემთვევაში კი, სიცოცხლის გადარჩენას უზრუნველყოფს.

მსგავს კამპანიაში მონაწილეობის მზადყოფნის სურვილს მუნიციპალიტეტის მერია მუდმივად გამოთქვამს.

მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილება

პედაგოგობა განვითარების უწყვეტი პროცესია

ერთ-ერთი ყველაზე პატივსაცემი და ამავე დროს რთული მასწავლებლის საქმეა. იგი ახალ თაობას ზრდის ერის წიაღში დაგროვილ ღირებულებებზე, ეხმარება ამა თუ იმ საგნის სიღრმისეულ შესწავლაში, ავ-კარგის ერთმანეთისაგან გარჩევაში... მათ შრომაზეა დამოკიდებული თუ რა ტიპის მოქალაქეები შემოაბიჯებენ საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ჩვენი დღევანდელი ნომრის სტუმარი არის სენაკის ერთ-ერთი გამოცდილი, თავისი საქმის პროფესიონალი, მენტორი მასწავლებელი, ელისო შურღაია.

ქალბატონმა ელისომ დაამთავრა ქ. ცხაკაიას მეოთხე (რუსული) საშუალო სკოლა, უმაღლესი განათლება მიიღო რუსეთში, მუშაობა დაიწყო სენაკის №6 საშუალო სკოლაში ქიმიისა და ბიოლოგიის მასწავლებლად, 1997-2007 წლებში მუშაობდა სსიპ №4 საშუალო სკოლაში, შემდეგ №1 საჯარო სკოლაში, სადაც დღემდე ბიოლოგიისა და ქიმიის მასწავლებელია.

მას უამარავი კოლეგისთვის აქვს გაზიარებული თავის პრაქტიკული გამოცდილება. გვერდში დადგომია კოლეგებს სხვადასხვა საქმიანობაში. ასობით პედაგოგს დახმარებია უფროსი და წამყვანი მასწავლებლის სტატუსის მოპოვებაში.

გარდა ამისა ქალბატონი ელისო თავის შესაძლებლობების ფარგლებში ეწევა ქველმოქმედებას. მისი ანაზღაურების მნიშვნელოვანი ნაწილი იხარჯება ბავშვების მხარდასაჭერად. დაფინანსებული აქვს მოსწავლეთა ექსკურსია ბათუმში და ა.შ. ჩვენთან საუბრისას მან გვითხრა, რომ მიზნად აქვს დასახული, სენაკში მცხოვრები ბოშა ოჯახების მოზარდებმა სრულყოფილი საშუალო განათლება მიიღონ საჯარო სკოლებში. ამიტომ უნდა დაეხმაროს მათ პროფესიული განათლების მიღებაში, სწორედ ერთ-ერთ ასეთ ოჯახს ხელი შეუწყო პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის აღებაში.

აქვს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განვითარების ექსპერტის ტიტული (ქიმიის მიმართულებით). თანაავტორია მეათე კლასის ქიმიის გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოსი (გამომცემლობა ,, ინტელექტი') და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ,,ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის" „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა სოციალური ინკლუზიით" ქვეპროგრამის პროექტის კოორდინატორი.

ქალბატონი ელისო ერთადერთი ქართველი მასწავლებელია, ვინც საერთაშორისო კონკურსის „SPARE" (ენერგიისა და რესურსების გამოყენების საერთაშორისო სასკოლო პროექტი) გამარჯვებულის სტატუსით იმყოფებოდა ტიან-შანის მთებზე.

გარდა ამისა არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო ელჩის წოდების მფლობელი.

სხვა ნიუანსების, პროფესიული მიღწევების, სიახლეების... შესახებ ინტერვიუში გვესაუბრება ჩვენი რესპონდენტი.

ქალბატონო ელისო როგორია თქვენი ბიოგრაფიული შტრიხები?

დავიწყებ იმით, რომ სულ ახლახანს ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტის თანამდებობაზე შემარჩიეს.

წარმატებით მაქვს ჩაბარებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი გამოცდები შემდეგი მიმართულებით: საჯარო სკოლის დირექტორის, მასწავლებლის სასერტიფიკაციო ბიოლოგიასა და ქიმიაში, ინგლისური-კომპიუტერის ინტეგრირებული, ბიოლოგიის ექსპერიმენტალურ ნაწილში,ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტისა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის.

გავიმარჯვე უამრავ პროექტსა და კონკურსში, როგორც რესპუბლიკის შიგნით, ასევე მის გარეთ.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგის საფუძველზე სასწავლო ვიზიტით ვიმყოფებოდი პოლონეთში, ქ.ვარშავაში, კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრში -- პროგრამით ,,საბუნებისმეტყველო კლუბების ჩამოყალიბება და განვითარება სასკოლო ქსელების შექმნის გზით"'

მონაწილეობა მაქვს მიღებული და გამარჯვებული ვარ შემდეგ კონკურსებში: ,,სასკოლო გამოფენა- 2008''პროექტით: ,,ჩემი ქალაქის მდინარე'', ორგანიზაცია Microsoft-ის მიერ ორგანიზებულ გაკვთილების კონკურსში გაკვეთილით -- ,,გარემო, რომელშიც ვცხოვრობ", განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) კონკურსში ,,თემის მობილიზება გარემოს დაცვით პრობლემების ირგვლივ'' პროექტით: ,,კოლხეთი ... ლეგენდა, რომელიც გრძელდება'', სახელმწიფო გრანტების კონკურსში -,,მეცნიერება სკოლის მერხიდან -კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით'' პროექტით ,,რა ფერისაა საკვები?'' გამოგვეყო პროექტის გახორციელებისათვის 12 000 ლარი.

ჩავატარე რაიონული ღონისძიება ,,ტოლერანტობის ფესტივალი''. სკოლაში ჩამოვაყალიბე საზაფხულო სკოლა - ,,კლიმატი, ენერგია, გარემო' -- საბუნებისმეტყველო კლუბი. აქტიური მონაწილეობა მივიღე ინკლუზიურ სწავლებაში, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროექტების ინიცირებასა და განხორციელებაში, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე კონფერენციებში. ჩემმა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კონფერენციებსა და ოლიმპიადებში.

ყველა ადამიანი პროფესიას ირჩევს რაღაც მისწრაფების გამო, თქვენს შემთხვევაში რამ განაპირობა თქვენი პოფესიული არჩევანი და ზოგადად რა პასუხისმგებლობაა თქვენთვის მასწავლებლობა?

პროფესიის შერჩევაზე ფიქრს ადამიანი ჯერ კიდევ ბავშვობიდან იწყებს, ხშირ შემთხვევაში გაუაზრებლად, მაგრამ მაინც. საბოლოო არჩევანს სკოლის დამამთავრებელი კლასში ყოფნის პერიოდში აკეთებს და ირჩევს სასურველ პროფესიას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად მათ არჩევანის გაკეთებაში მშობლებიც ეხმარებიან.

არასოდეს მიფიქრია სხვადასხვა ე.წ. პრესტიჟულ პროფესიაზე, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენს პერიოდში, არც მშობლები ჩარეულან ჩემს არჩევანში და რატომღაც, ბიოლოგია და ქიმია ავირჩიე.

ვერ გეტყვით, რომ თავიდანვე ოცნებად მქონდა მასწავლებლობა. უბრალოდ ჩემი პროფესიული არჩევანი ამ საგნების სიყვარულმა განაპირობა, რომლის მიმართ ინტერესი ბავშვობიდან მქონდა, ძალიან მომწონდა ბიოლოგიური ხასიათის ლიტერატურის კითხვა ან სულაც დოკუმენტური ფილმების ყურება, რომლებიც აუცილებლად ბიოლოგიური და ქიმიური ხასიათის უნდა ყოფილიყო.

ქალბატონო ელისო, თქვენ მოგენიჭათ მენტორი მასწავლებლის სტატუსი. ძალიან საინტერესო იქნება მკითხველისთვის განგვიმარტოთ ვინ არის მენტორი მასწავლებელი?

მენტორი არის მასწავლებელი, რომელიც ადგენს მასწავლებელთა საჭიროებებს და გამოვლენილი საჭიროების მიხედვით გეგმავს სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარების ერთიან სტრატეგიას. შეიმუშავებს რეკომენდაციებს ეროვნულ დონეზე ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ამყარებს კონტაქტებს საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად და მოსწავლეთა შედეგების გასაუმჯობესებლად.

საგნის სწავლებაში რა ინოვაციურ ხერხებს მიმართავთ. თემის გასაშლელად დამატებით მასალები თუ გაქვთ ჩართული. ზოგადად რა სიახლეები და ინიციატივებია დანერგილი თქვენი საგნის სწავლებაში?

პროფესიული განვითარების მიზნით გავლილი მაქვს მრავალი (დაახლოებით 70) ტრენინგი, სემინარი, მასტერ-კლასი. მათ შორის, მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარი და პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმა, პრაქტიკის კვლევა-დაგეგმვა, წარმართვა და შეფასება, ,,შავი ზღვის სკივრი", ტრენინგ მოდული "სწავლების მენტორობა", საგრანტო პროექტების წერა, ინოვაციურობის ტრენინგი „სასწავლო პროცესის პოზიტიური მართვა და მზაობა პროფესიული განვითარებისათვის,მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მიდგომები, აქტიური სწავლება ბიოლოგიაში, „მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს მახასიათებლები", ,,გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება სკოლაში'', სტრატეგიული დაგეგმვა.პროექტის განაცხადის წერა, ბიზნესის განვითარება, ,,ადვოკატირების კომპანიის წარმართვა,ფონდების მოძიება, კოალიციური მუშაობა გარემოსდაცვითი პრობლემების ირგვლივ'', ,,განათლების ხელმისაწვდომობის განვითარება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისათვის და სხვა.

ჩემი, როგორც პედაგოგის, მიზანია: მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება,

ზრუნვასა და თანამშრომლობაზე ორიენტირებული სასკოლო კულტურის ჩამოყალიბება.

მიზნის მიღწევაში მეხმარება კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალება ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებზე დაფუძნებას. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სასწავლო მასალის რეალურ ცხოვრებასთან/ცხოვრებისეულ კონტექსტებთან დაკავშირებას. ხდება სხვადასხვა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება, სასწავლო რესურსები მორგებულია მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებს.

ხშირად ვუსვამ საკუთარ თავს კითხვას – რას ვაკეთებდი და როგორ ვაკეთებდი, რა უნდა შევცვალო და რა დავტოვო ძველიდან. მასწავლებლისადმი ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ხომ რეფლექსიურობაა. მეც მუდამ ვაანალიზებ ჩემს მუშაობას: რა გამომივიდა კარგად და რა შეიძლება ძველი გამოცდილებიდან გამოვიყენო. სწავლებაში ვიყენებ ინტერაქციულ მიდგომას. ჩემთვის უცხო არ არის კონსტრუქტივიზმის პრინციპები, ის ხუთი ძირითადი პარადიგმა, რომელზეც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმაა აგებული.

ჩემთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, თითოეული მოზარდის საჭიროებებსა და თავისებურებებზე მორგება. ამისათვის ვიყენებ კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც მოითხოვს შემოქმედებითი პროდუქტების შექმნას. კომპლექსური დავალებები მიმზიდველია ნებისმიერი მოსწავლისათვის, რადგან მათი შექმნის პროცესში ბავშვები ფიქრობენ საგნობრივ საკითხებზე და ამ გზით იძენენ საგნობრივ ცოდნას. ამგვარი მიდგომა მათ თვითრეალიზების საშუალებას აძლევს.

გავეცანი სწავლებისა და შეფასების სხვადასხვა სტრატეგიებს, რომელსაც ეფექტურად ვიყენებ სასწავლო პროცესში. ვისწავლე კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებაზე ორიენტირებული სტრატეგიები, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებისა და ესგ-ის მოთხოვნების გათვალისწინება სასწავლო პროცესის დაგეგმვისას; სხვადასხვა სააზროვნო უნარის (მეტაკოგნიტური, ტრანსფერის, შემოქმედებითი, კრიტიკული, ანალიტიკური და სხვა.) განვითარების ეფექტური სტრატეგიების გამოყენება საგაკვეთილო პროცესში ვისწავლე პროექტების წერა, პროექტებით სწავლება: თუ როგორ შევქმნა ტექნოლოგიებით გამდიდრებული სასწავლო პროექტები და როგორ ვიმუშავო სასწავლო პროექტის გეგმაზე. ვატარებ პედაგოგიურ კვლევებს.

არაფორმალური განათლების ფარგლებში მოსწავლეებს ვუყალიბებ საგნის სიყვარულს. ვუმაღლებ მოტივაციას და დაინტერესებას საბუნებიმეტყველო საგნების მიმართ. ვზრდი მათ პატრიოტ, ტოლერანტ ,გარემოს დამცველ და კანონმორჩილ ადამიანებად. ვუყალიბებ სოციალურ უნარებს.

ამ აქტივობების განხორციელების შედეგად გაიზარდა ჩემი ზოგადი ცოდნა,უნარ–ჩვევები და სწავლების კომპეტენციები, ვისწავლე პრობლემების მიგნება, პრობლემების გადაჭრისათვის გამოსადეგი სტრატეგიების მიკვლევა, მათი გადაჭრა და ანალიზი.ანალიზზე დაყრდნობით პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, სასწავლო პროცესის დაკვირვება. პედაგოგებთან საჭიროებების გაზიარება, გაკვეთილების, პროექტების, შეფასების რუბრიკების, სასწავლო რესურსების ერთობლივად დაგეგმვა – შექმნა.

მოგეხსენებათ დღევანდელი თაობა საკმაოდ განსხვავდება წინა თაობებისგან. თქვენი საგანმანათლებლო პრაქტიკის მანძილზე ხედავთ თუ არა ამ განსხვავებებს თაობათა შორის. როგორი დამოკიდებულება გაქვთ ბავშვებთან და გქონიათ თუ არა პრობლემა მათთან ურთიერთობაში?

ჩემს მოსწავლეებზე მხოლოდ 4 წლით უფროსი ვიყავი, როდესაც სკოლაში პირველად შევედი და, ბუნებრივია, ასაკით მათგან განსხვავება დიდად არ მიგრძვნია. ჩემი აზრით ბავშვებს უყვართ და უხარიათ ახალგაზრდა მასწავლებელი და მით უფრო, როცა მისგანაც სიყვარულს ხედავენ, ამ გრძნობას ათმაგად აბრუნებენ....პატივისცემა ადამიანის მიმართ და თავისუფლების შეგრძნება ახალ თაობაში ძლიერია და თუ ზოგჯერ პროტესტს გამოთქვამენ, ესეც ბუნებრივია.

თანამედროვე მოსწავლეებში არიან განსხვავებული ბავშვებიც და მასწავლებლებს ძალიან უჭირთ ამასთან შეგუება. უჭირთ მწვანედ თმაშეღებილი, პირსინგებიანი, ან სხვადასხვა მიმდინარეობის მიხედვით ჩაცმული ბავშვების მიღება. მაქვს ამის პრაქტიკა და ჩემთვის გაუგებარი ის არის, როგორ შეიძლება ვერ მივიღო „განსხვავებული". ასეთ შემთხვევაში პირადად მე ვცდილობ ვაგრძნობინო მათ, რომ მტერი არ ყავთ ჩემი სახით, პირიქით, შეუძლიათ მენდონ, ჩემგან რჩევა გაიზიარონ, იქნებ სხვა რამით დავაინტერესო ისინი, იქნებ პრობლემები დაძლიონ და ცხოვრების წესიც ამგავარად შევაცვლევინო. მასწავლებელი ვერ დაეხმარება ასეთ მოსწავლეს რისხვითა და სიძულვილით, მეგობრული დამოკიდებულებითა და რჩევით კი, აუცილებლად შეცვლის რაღაცას.

ეს არის ახალი ინტერესებით, ახალი ღირებულებებით, ბევრად უფრო პრაგმატული, არასიღრმისეული, ზედაპირული ცოდნის მაძიებელი, ტექნიკისა და ვირტუალური სამყაროსკენ მიდრეკილი თაობა, რომლისთვისაც აკადემიურობა მეორე პლანზეა. წინა პლანზეა კომუნიკაციის კულტურა. ითხოვენ, მასწავლებელი იყოს მრავალფეროვანი მეთოდებში, რაც შეიძლება მარტივად, ნაკლები მიაწოდოს, რადგან ფსიქოლოგიურად დატვირთულები არიან და ისედაც უამრავ ინფორმაციას ფლობენ. ეს არის დროის მოთხოვნა და არა რომელიმე კონკრეტული პიროვნების არჩევანი.

თქვენი აზრით კარგი მასწავლებელი რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს?

მასწავლებელს პროფესიული ზრდისათვის, უპირველეს ყოვლისა, სჭირდება იმის გაცნობიერება, რომ პედაგოგობა მოიაზრებს განვითარების უწყვეტ პროცესს. შინაგანი მოტივაციის არსებობა, მუდმივი სწრაფვა სიახლეებისაკენ უმნიშვნელოვანესი მგონია. წარმატებას კი მოსწავლეებისა და საქმის სიყვარული, შრომის მოყვარეობა, მონდომება განაპირობებს. უნდა გჯეროდეს საკუთარი თავის და ამაყობდე იმით, რომ მასწავლებელი ხარ.

რა შეგიძლიათ გვითხრათ თქვენი სამომავლო გეგმების შესახებ.

კიდევ დიდხანს ვუერთგულებ ჩემს პროფესიას. ჩემი სამომავლო გეგმები სკოლასა და მოსწავლეებს უკავშირდება. ვიქნები სხვა მასწავლებლებისთვის კარგი კონსულტანტი. ამ სტატუსით არ დავკმაყოფილდები და აუცილებლად გავარძელებ განვითარებას, რათა ხარისხიანი განათლება მივცე ჩვენს მომავალ თაობას.

ქალბატონი ელისოს პროფესიული გზა იმდენად მრავალფეროვანია, რომ გვიკვირს ერთმა და ისიც ქალბატონმა ამდენი როდის და როგორ მოასწრო? გვიხარია ასეთები რომ გვყვანან. რედაქციის სახელით ვულოცავთ მას პროფესიულ დღეს და მენტორი მასწავლებლის დამსახურებულ ტიტულს. ვუსურვებთ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს.

მოამზადა მარიკა მიქაბერიძემ

[illegible] მასწავლებელი

ოქტომბერია, თვე, როცა მასწავლებლის დღესასწაული აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით გვინდოდა უხუცესი მასწავლებელი გვყოლოდა ნომრის სტუმრად, მის ცოდნა-გამოცდილებაზე, სწავლების პრაქტიკულ და თეორიულ უნარებზე, მის დროინდელ მეთოდიკაზე, პირად შეხედულებებზე და შთაბეჭდილებებზე, ა.შ. გვესაუბრა. არჩევანი ქალბატონ ეთერ ფალავაზე შევაჩერეთ, რომლის წარსული და აწმყო გაჯერებულია ცხოვრების სიბრძნით, პედაგოგის მრავალწლიანი გამოცდილებით, სითბოთი, სიყვარულით... რომელიც მისხალ-მისხალ უგროვებია 92 წლის მანძილზე, რათა სხვებისათვის გაენაწილებინა, იმ სხვებს კიდევ დანარჩენთათვის, რათა სიყვარულისა და პატივისცემის ჯაჭვი თაობათა ცვლაში ასე დაუსაბამოდ გაგრძელებულიყო. დიახ, ჩვენი რესპონდენტი იმ თაობის წარმომადგენელია, როცა მასწავლებელი საგაკვეთილო მონაკვეთში უშურველად იხარჯებოდა, თვითეული მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეები იცოდა, საჭიროების შემთხვევაში შესვენების დამატებით დროსაც იყენებდნენ ჩამორჩენისათვის რომ აეცილებინათ მოზარდები, უმეტეს შემთხვევაში ისინი გაკვეთილის შემდეგ იტოვებდნენ სუსტ მოსწავლეებს და იმ თემებზე ავარჯიშებდნენ ნაკლებად გასაგები რომ აღმოჩნდა მათთვის. ეს ხდებოდა ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, არა შეკვეთით, არა დირექტივით, არამედ მასწავლებლის სურვილით, რადგან მათთვის უპირველესი მოსწავლე, მისი აკადემიური მოსწრება იყო. ასეთი მასწავლებლები თაობებში ანთებულ სანთლებად რჩებიან. იმ დროში ჰქონდათ პედაგოგებს აღსაზრდელთა სამოტივაციო ათასი ხერხი. მინდა გავიხსენო ქალბატონ ეთერის ერთ-ერთი ასეთი მეთოდი. ის დაბალი კლასის წარჩინებულ მოსწავლეს ხშირად რთავდა მაღალი კლასის საგაკვეთილო თემატურ გარჩევა-ანალიზში. ყოველგვარი შეგონება-გაკიცხვის გარეშე, უთქმელად, მოსწავლეთა თავმოყვარეობის სათუთ სიმებს არ ეხებოდა ისე მიანიშნებდა მათ, რომ თუ მოინდომებდნენ დაუძლეველი არაფერია. მის გაკვეთილზე ვერ იქნებოდი უყურადღებოდ, ყველა ჩართული ჰყავდა პროცესში, წამი არ იკარგებოდა უქმად. იყო ავტორიტეტული, დახვეწილი ჩაცმულობით, მანერებით, ცხოვრების წესით-გამორჩეული.

დაიბადა 1930 წელს სენაკში. დაამთავრა სენაკის ქალთა მეორე საშუალო სკოლა, შემდეგ სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის უცხო ენათა ფაკულტეტი გერმანული ენის სპეციალობით. მოგეხსენებათ მაშინ კადრების გადანაწილება ხდებოდა საჭიროების მიხედვით. ქალბატონი ეთერი ასე მივლინებულ იქნა ლეძაძამეს საშუალო სკოლაში უცხო ენის მასწავლებლად. ახალგაზრდა მასწავლებელმა მაშინვე აუღო ალღო აღსაზრდელებთან ურთიერთობას და დაიწყო რთული და საინტერესო ცხოვრება მისთვის. სიყვარულიც აქ ეწვია. დაოჯახდა ამავე სკოლის პედაგოგზე, არველოდ საჯაიაზე. არველოდ მასწავლებელი ბუნებით კეთილშობილი, წარმოსადეგი აღნაგობის, თბილი, მოსიყვარულე, ბავშვების მეგობარი და მათზე მზრუნველი იყო. სპორტული აღნაგობის, ასაკშიც ჭაბუკურად გამოიყურებოდა. დასანანია, რომ ჩვენთან აღარ არის. ნათელი მის სულს.

ეთერ მასწავლებელმა ლეძაძამეს საშუალო სკოლაში 27 წელი იღვაწა, შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობა გააგრძელა სენაკის მეექვსე და ახალსოფლის საშუალო სკოლებში.

ახლა ქალბატონი ეთერი შვილთაშვილებს აკვალიანებს, მცირეწლოვნებს დედაენის ათვისებაში ეხმარება, უფროსებს კი უცხო ენის. შვილებსა და შვილიშვილებს ხშირად ახსენებს წარსულს, ბედნიერ დღეებს, ჩვენც ვსარგებლობთ შემთხვევით და მისი ყოფილი მოსწავლის სტატუსით რამდენიმე კითხვით მივმართეთ მას.

ქალბატონო ეთერ, თქვენი გაკვეთილები არასოდეს ჰგავდა ერთმანეთს-განსხვავებული და საინტერესო იყო, როგორ გეგმავდით მას?

ჩემი აზრით, პედაგოგის მიერ ჩატარებული გაკვეთილები არ უნდა იყოს ტრაფარეტული, ეს დამოკიდებულია მისი იმპროვიზაციის უნარზე. ყოველი გაკვეთილის წინ საფუძვლიანად ვემზადებოდი, მოსწავლეებს შორის ტექსტის მიხედვით იმართებოდა დიალოგი, ვქმნიდი თვალსაჩინოების მაგალითებს, რაც მათთვის საინტერესო იყო და ეხმარებოდა ცოდნის გაღრმავებაში.

რატომ აირჩიეთ პედაგოგის პროფესია, თქვენი მოწოდება იყო თუ მშობლების სურვილი?

პედაგოგობა ჩემი მოწოდებაა. პროფესიის არჩევაში დიდი წვლილი მიუძღვის ბებიას და ბაბუას, რომლებიც თავის დროზე მასწავლებლები იყვნენ, რა თქმა უნდა მშობლებიც მხარს მიჭერდნენ.

მართალია ეხლა სხვა დროა და სხვა მოთხოვნები, მაგრამ მაინც თქვენი დროის და თანამედროვე მასწავლებელს შორის (პასუხისმგებლობის, ცოდნის, გამოცდილების, მოსწავლეზე ორიენტირების და ა.შ. კუთხით) რომელს მიანიჭებდით უპირატესობას და რატომ?

დღეს მართალია სხვა მოთხოვნებია, თუმცა მასწავლებლისათვის პასუხისმგებლობა, ცოდნა და გამოცდილება აუცილებელი პირობაა ყოველთვის და ყველა დროში, აქედან გამომდინარე ყველა პერიოდს სხვადასხვა გამოწვევები ახასიათებს.

ახალი თაობის პედაგოგებს ვუსურვებ წინსვლას და წარმატებებს. მათ აღზრდილებს ესახელებინოთ ისინი. ჩვენი მომავალი თაობა კი მინდა დავლოცო და ვუთხრა, რომ მთავარია ცოდნასთან ერთად ერთმანეთის გატანა და სიყვარული იცოდნენ.

თქვენ წლები იმსახურეთ ლეძაძამეს საშუალო სკოლაში, როგორ მოხვდით მანდ?

ლეძაძამეს სკოლაში განაწილებით მოვხვდი, სასიამოვნოდ მახსენდება იქ გატარებული წლები. ოჯახი იქ შევქმენი, შვილებმა იქ აიდგეს ფეხი, როცა დაიზარდნენ სკოლაშიც ერთად გვიწევდა წასვლა, კარგი დრო იყო, ცოდნას მოწყურებული ახალგაზრდობა მასწავლებლის ამაგს სიბეჯითითა და სანიმუშო ყოფაქცევით პასუხობდა.

პედკოლექტივი პროფესიონალი კადრებით იყო დაკომპლექტებული, რომლებმაც სიყვარულით მიმიღეს და ასე მეგობრულად, ერთმანეთის ლხინისა და ჭირის გაზიარებით მრავალი წელი განვლეთ ერთად. მენატრებიან ჩემო კოლეგა მასწავლებლები, ყოფილი მოსწავლეები, ყველანი მახსოვს და მიყვარს.

თქვენ ბედნიერი დედა და ბებია ბრძანდებით. ამ გადმოსახედიდან როგორი გრძნობა გეუფლებათ, როცა თქვენს შთამომავლებს გამრავლებულს, წარმატებულს ხედავთ?

ამაზე დიდი ბედნიერება მართლაც რომ არ არსებობს, ისინი ჩემი გული და სულია. მათით ვცოცხლობ და ვხარობ. მათი ყოველი წარმატება გამოუთქმელ სიხარულს მგვრის. როცა მომმართავენ მრავალ ხმაში და ტონალობაში **დ ე დ ა, ბებია ...**აუწერელი განცდა მეუფლება ბედნიერების.

ქრისტეშობის 26-ში დაბადებულ ეთერ მასწავლებელს, მისი მრავალრიცხოვანი აღზრდილების სახელით ვულოცავთ პროფესიულ დღესასწაულს, ამასთან წინასწარ მოახლოებულ დაბადების დღესაც.

სამი შვილის, 6 შვილიშვილის, 13 შვილთაშვილის დიდ ბებიას ვუსურვებთ თავის მონაგართან ერთად ტკბილად და ბედნიერად ცხოვრებას, ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას.

ნინო სართანია

,,მადლობა მასწავლებელო''

მასწავლებლის საერთაშორისო დღე 1994 წლის ოქტომბრიდან აღინიშნება. ამ თარიღის დაწესება აჩვენებს იმ განუზომელ წვლილს, რომელსაც პედაგოგები მომავალი თაობის აღზრდისა და განათლების საქმეს ახმარენ. 2 ოქტომბერს სენაკის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჟიული შარტავას სახელობის მეორე საჯარო სკოლის დირექციის (დირექტორი: დ. ჭანტურია) და ამავე სკოლის ნოვატორი, 45 წლიანი პედაგოგიური გამოცდილების მქონე მასწავლებლის, სენაკის საპატიო მოქალაქის გული ბარკალაიას ინიციატივით მოეწყო მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი საღამო, ''მადლობა მასწავლებელო''.

ქალბატონმა გულიმ დიდი შრომა გასწია ღონისძიების მოსამზადებლად. წინა წლებშიც მან მუნიციპალიტეტისა და რეგიონის მასშტაბით არაერთი პროექტი განახორციელა. წარმატებულად ჩაითვალა მისი ხელმძღვანელობით ჩატარებული თემატური ღონისძიება ''ნატო და საქართველო'', რომელშიც 300 მოსწავლე მონაწილეობდა. ღონისძიებას მაღალი შეფასება მიეცა, როგორც დამსწრე საზოგადოების, ასე-

ვე საქართველოსა და ევროკავშირის (სტრასბურგის) ოფიციალური საიტების მიერ. თავად იდეის ავტორი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის განკარგულებით საპატიო დიპლომით დაჯილდოვდა.

მასწავლებელთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო სავსე იყო მადლიერების გრძნობით, მეორე საჯარო სკოლის 8 ა კლასის მოსწავლეების, ასევე სკოლის წარმატებული მოსწავლეების ზურაბ და ნიკა წირქვაძეების, ნიკო ფაციას, ალექსი გვასალიას, უტა სიჭინავას და სხვათა მიერ შესრულებულ მუსიკალურ და ქორეოგრაფიულ ნომრებს დიდი მოწონება ხვდა წილად.

ყვავილებით, გულთბილი სიტყვებით, ლექსითა და მუსიკით აღსავსე საღამო განსაკუთრებით ამაღელვებელი იყო სკოლის ყოფილი პედაგოგებისათვის, რომლებმაც თავიანთი მოღვაწეობით ნათელი კვალი დატოვეს სკოლის ისტორიაში. ღონისძიებას განათლების დარგის მუშაკებთან ერთად ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს, კულტურისა და ხელოვნების სფეროს წარმომადგენლები, ადგილობრივი მედიის ჟურნალისტები.

პროექტის ავტორი გული ბარკალაია თანადგომისათვის მადლობას უხდის მუნიციპალიტეტის წარმატებულ მერს ბატონ ვახტანგ გადელიას, ბიზნესმენს, სენაკელებისათვის პატივსაცემ პიროვნებას ბატონ გია ადამიას, ქორეოგრაფს, ანსამბლ ,,კუჩხიბედინერის'' დამფუძნებელს ბატონ ზვიად გვასალიას და ყველა იმ ადამიანს, ვინც მოკრძალებული წვლილი შეიტანა საღამოს ორგანიზებაში.

ქალბატონ გულის მომავალშიც არაერთი საინტერესო პროექტი აქვს დაგეგმილი, ვულოცავთ მას და მუნიციპალიტეტის ყველა პედაგოგს პროფესიულ დღესასწაულს და წარმატებულ საქმიანობას ვუსურვებთ.

ძველმა ფილოსოფოსებმა და პედაგოგებმა მასწავლებელს ''საზოგადოების'' თვალი უწოდეს, ეს სიტყვები ნათლად ასახავს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც აკისრია პედაგოგს საზოგადოებრივი ნორმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

მედეა ბაღათურია

„ჩემი ცხოვრება სხვისი შვილების სიყვარულია“

სენაკში, და არა მხოლოდ აქ, მზისადარ ბჟალავას იცნობენ, როგორც გამორჩეულ პიროვნებას, საგანმანათლებლო სფეროში ამოუწურავი ენერგიისა და ცოდნის მეცნიერს. ახალგაზრდების წინსვლისთვის, მათი გონებრივი შესაძლებლობების, პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის მუდამ მზრუნველს. თავით თხემამდე სამშობლოზე შეყვარებულს, მის მომავალზე მოფიქრალს. მისი ლექციათა დიაპაზონი ვრცელია, გაჯერებული დარგის უახლესი მიღწევებით. თვლის, რომ ყოველი სტუდენტის ცნობიერება ეროვნული ფასეულობებით უნდა იყოს ნასაზრდოები.

დაიბადა 1947 წლის 15 აპრილს სენაკის რაიონის სოფელ ახალისოფელში. დაწყებითი განათლება მიიღო ჯერ ისულას დაწყებით სკოლაში, შემდეგ ახალსოფლის 8 წლიან სკოლაში. დაამთავრა სენაკის მეხუთე საშუალო სკოლა. წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტი სოფლის მეურნეობის წარმოების ეკონომისტ-ორგანიზატორის სპეციალობით. ასპირანტურა-სახალხო მეურნეობის ეკონომიკა, დაგეგმვა, ორგანიზაცია და მართვის სპეციალობით. სწავლობდა მოსკოვის კ. ტიმირიაზევის სახელობის აკადემიის პედაგოგიურ ფაკულტეტზე. სხვადასხვა დროს მუშაობდა ტეხურის საბჭოთა მეურნეობაში ეკონომისტად, სენაკის სასოფლო - სამეურნეო ტექნიკუმში პედაგოგად, თბილისის საინჟინრო - ეკონომიკურ ინსტიტუტში და სოხუმის ცოტნე დადიანის ჰუმანიტარულ ინსტიტუტში დოცენტად. ასევე სენაკის ჰუმანიტარულ - ეკონომიკური ინსტიტუტში დოცენტად და კათედრის გამგედ, შემდეგ ამავე ინსტიტუტის პროფესორად და ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანად.

ამჟამად აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორია, ამავე დროს მიწვეულია ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ განყოფილებაში (სენაკის ბაზა) პედაგოგად. გაეროსა და განათლების სამინისტროს რეკომენდაციით მონაწილეობდა პროფესიული სასწავლებლებისთვის მოდულების ფერმერული მეურნეობის მართვისა და მეწარმეობის სასწავლო პროგრამების შემუშავებაში. ასწავლის სტუდენტებს პრაქტიკულად ადგილობრივი რესურსების მოძიებას და პროდუქტის შექმნას.

არის ეკონომიკის დოქტორი, სამი სახელმძღვანელოსა და რამდენიმე ათეული სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი და ღირსების ორდენოსანი.

ქალბატონო მზისადარ, თქვენ რამდენიმე ათეული წელი მოანდომეთ მოსწავლეებისა და სტუდენტ-ახალგაზრდობის სწავლა-განათლებას. ამ გადასახედიდან როგორ შეაფასებთ განვლილ პერიოდს?

დიახ, მე რამდენიმე ათეული წელი მოვანდომე მოსწავლეებისა და სტუდენტ-ახალგაზრდობის სწავლა-განათლებას. არ არის ადვილი სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობა. ამ საქმიანობას ღირსეულად რომ გაართვა თავი პროფესიონალიზმთან ერთად მოითხოვს შრომას, სამართლიანობას, ახალგაზრდობის სიყვარულს, მთელი ჩემი ცხოვრება სხვისი შვილების სიყვარულია. ჩემი სტუდენტები მშობელ დედასავით ყველა თანაბრად მიყვარს. რა თქმა უნდა ძალიან ვაფასებ ზრდილობას, ნიჭს, ცოდნას. ყოველთვის ვცდილობ საგანი შევაყვარო და ახალგაზრდები თავის შესაძლებლობებში დავარწმუნო. ხშირად ვამბობ ვისაც სხვისი შვილების სიყვარული არ შეუძლია ის პედაგოგი არ უნდა იყოს.

თვლით თუ არა, რომ მეცნიერისათვის აუცილებელია ახალი ინოვაციების ძიება და ოპტიმიზმი?

მეცნიერისთვის აუცილებელია სიახლის ძიება და ოპტიმიზმი. ყოველწლიურად ვაქვეყნებ სამეცნიერო სტატიებს. გამონაკლისი შარშანდელი წელი იყო,კოვიდი ძალიან მძიმედ გადავიტანე, რამდენიმე თვე ვიყავი მწოლიარე და ხშირად უგონო მდგომარეობაში. გონს როცა მოვდიოდი გეგმებს ვაწყობდი კარგი საქმის კეთების, ამ დროს მთელი სხეულით ვიყავი უძრავი. თავიდან ვისწავლე სიარული, იმდენად ოპტიმისტი ვარ, რომ უიმედობისაგან ვქმნი რეალურ იმედს, მიყვარს სიძნელეების გადალახვა. ადამიანი თუ მოინდომებს არ არსებობს სიძნელე, რომლის გადალახვა შეუძლებელია. ყოველთვის ვცდილობ ჩემს გარშემო მყოფთ შევუქმნა ოპტიმისტური განწყობა.

როგორია თქვენი დამოკიდებულება სოფლის მეურნეობის დარგში განხორციელებული პროექტებისადმი, როგორიცაა ,,აწარმოე საქართველოში", ,,დანერგე მომავალი" და ა.შ და რა როლის შესრულება შეუძლიათ აღნიშნულ პროექტებს ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში?

საქართველო არის აგრარული ქვეყანა,სოფლის მეურნეობა კი სასიცოცხლო დარგია და რათქმაუნდა ჩემი დამოკიდებულება დადებითია სოფლის მეურნეობის დარგებში განხორციელებული პროექტებისადმი.

დიდი მნიშვნელობა აქვს რამდენად მიზნობრივად და აგროვადებში იქნება გამოყენებული ამ კუთხით გამოყოფილი თანხები და ამავე დროს ამ სიკეთით ერთი და იგივე ადამიანები, თუ ფართო მასები ისარგებლებენ. ჩვენ ყველანი ვხედავთ, რომ სოფლები დაცარიელდა, შრომის უნარიანი ადამიანები ძირითადად გასულია. რამდენად ძლიერი იქნება სოფელი და სოფლის მეურნეობა მით უფრო გადაიჭრება ქვეყანაში სასურსათო პრობლემა. რათქმაუნდა გონივრული მართვით შესაძლებელია ამ პრობლემის მოგვარება.

თქვენ იუბილარი ბრძანდებით, 75 წელი შეგისრულდათ, რომელს თვლით თქვენი ცხოვრების საუკეთესო მონაკვეთად?

ჩემს ცხოვრებაში არა ერთი საუკეთესო მონაკვეთი ყოფილა. წარჩინებული სტუდენტობა, წარმატებული ასპირანტობა, სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვება, არა ერთი სიგელის და დიპლომის მიღება, როგორც ინსტიტუტის ისე რესპუბლიკურ და საკავშირო სამეცნიერო კონფერენციებში გამარჯვების, ყველაფრის ჩამოთვლა ძალიან შორს წამიყვანს.

ჩემი ცხოვრების ყველაზე ცუდი პერიოდი გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან იწყება ეს არის ჩემი ქვეყნის ტერიტორიების აფხაზეთის, კოდორის ხეობის, სამაჩაბლოს დაკარგვა, უსამართლო ომში დაღუპულები, უსაფლავო მიცვალებულები, ათასობით ძალადობით გადაადგილებული ოჯახები, მიუხედავად სამეცნიერო პედაგოგიურ მუშაობაში მიღწეული ჩემი წარმატებისა თავი კარგად არ მიგრძვნია, მე ამ ტკივილით ვცხოვრობ, ამ ტკივილს ჯერ -ჯერობით დასასრული არ აქვს, ჩემი ქვეყნის უდაბნოც და ქვების გროვაც ჩემი ქვეყნის კუთვნილებაა და არავისთვის არ მემეტება. რომ შემეძლოს ჩემს მრავალჭირნახულ სამშობლოს ხელებს შემოვახვევდი და გულში ისე მაგრად ჩავიკრავდი, რომ ჩემი მიწა- წყლის ერთ გოჯსაც არავის არ დავუთმობდი.

როგორია თქვენი დამოკიდებულება მედიასაშუალებებისადმი და რას უსურვებთ გაზეთ ,,კოლხეთს", რომელსაც 100 წელი უსრულდება?

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მედია საშუალებებს. მისი დანიშნულება უნდა იყოს სიმართლის მიწოდება მოსახლეობის ფართო მასებისადმი, სამწუხაროა, რომ ზოგიერთი მედიასაშუალება ემსახურება სიცრუის ტირაჟირებას და სიძულვილის თესვას. ამავე დროს ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული ადგილების სახელის შეცვლით დასახელებას. მაგ. ძირძველი ქართული მიწის სამაჩაბლოს სამხრეთ ოსეთად მოხსენიებას, კოდორის-დალის ხეობის ზემო აფხაზეთად მონათვლას. როგორც ჟურნალისტის ასევე ყველა პროფესიის ადამიანის ნიჭს, მაშინ აქვს ფასი, როცა ის ემსახურება სიკეთის და არა ბოროტების კეთებას.

პატივისცემას გამოვხატავ გაზეთ ,,კოლხეთის" რედაქციისადმი, რომლის შტატგარეშე აქტიური კორესპონდენტი ვიყავი ახალგაზრდობის წლებში, რისთვისაც ქების სიგელიც მაქვს მიღებული. გაზეთ კოლხეთს ვუსურვებ ღირსეულ შეხვედრას საუკუნის იუბილისადმი. თითოეულ ჟურნალისტს ვუსურვებ მაღალი ჟურნალისტური ეთიკის დაცვას და წარმატებებს როგორც პირად ასევე საზოგადოებრივ საქმიანობაში.

როგორ გაიხსენებთ ეროვნული მოძრაობის წლებს?

1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ ეროვნულ მოძრაობაში ჩავები. ვარ ერთგული საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას იდეების.

ქ.გროზნოში დევნილობაში მყოფი პრეზიდენტი ორჯერ მოვინახულე.... მე ვნახე პრეზიდენტი თავის ქვეყანაზე და ხალხზე უზომოდ შეყვარებული.

გასული საუკუნის 90-იან წლებში არაერთი დევნა და სამსახურებრივი შევიწროება მაქვს გადატანილი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას იდეების ერთგულების გამო.

გვარსახელით მზედ დაღვრილ ქალბატონს სულის მზიანობით უვლია 75 წელი ცხოვრების გზა-შარაზე. და რჩეულა ეროვნული ცნობიერებით, ცხოვრების წესით, ერუდიციით, სამეცნიერო მიღწევებით... ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ახალგაზრდების სასიკეთოდ, მათი სულისა და გონების მწვრთნელად დიდხანს მოღვაწეობას.

ბაჩანა სართანია

ხსოვნის და იმედის დღე საქართველოში

საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფურცელია 1993 წლის 27 სექტემბერი. ეს არის სოხუმის დაცემის უმძიმესი დღე. ამასთან დღე, როდესაც ჩვენი ქვეყნისა და მშობლიური სენაკის გამორჩეულმა შვილმა, საქართველოს ეროვნულმა გმირმა, ჟიული შარტავამ თავის თანამებრძოლებთან ერთად თავი დადო სამშობლოსათვის და მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა.

29 წელი გავიდა ამ მტკივნეული თარიღიდან. მუზეუმში შემუშავდა ჩასატარებელ ღონისძიებათა გეგმა. საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის ქალბატონ დარეჯან ზარანდიასა და სასწავლო დაწესებულებათა დირექციების მხარდაჭერით გატარდა ზომები მუზეუმებში მოსწავლე-ახალგაზრდობის აქტიურად მოზიდვისათვის. უახლესი ისტორიის ტრაგიკულ თარიღს მიეძღვნა ჟიული შარტავასა და მისივე სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმების ორგანიზებით 21-27 სექტემბერს გამართული კვირეული, რომლის ფარგლებში, მოსწავლე-ახალგაზრდობის ჩართულობით, გაიმართა აფხაზეთის თემაზე საუბრები, ღია გაკვეთილები, მხატვრული კომპოზიციები, მოეწყო სასკოლო ბიბლიოთეკებში გამოფენები, ომის თემატიკისადმი მიძღვნილი ვიდეომასალის ჩვენება და ა.შ. კვირეულის ფარგლებში მუზეუმებს პირველები სტუმრობდნენ კერძო სკოლა ,,პელაგონის" მოსწავლეები (პედაგოგი ნინო ფრანგიშვილი) და არასახელმწიფო საბავშვო ბაღის ,,ზღაპრული კოშკის" სასკოლო მზაობის აღსაზრდელები (ხელმძღვანელი – ლუდმილა ნაჭყებია, აღმზრდელ-მასწავლებელი – მარიამ ჭითაშვილი).

კვირეულის ფარგლებში აქტიურობით გამოირჩეოდნენ ქალაქის პირველი, მეორე, მესამე, მეშვიდე, ძველი სენაკისა და თეკლათის საჯარო სკოლები(კლასის ხელმძღვანელები:თამარ პაპასკირი, ნონა სკურიდინი, ნანა ხოშტარია და ნონა ხვითარია, ლალი სანიკიძე, ინგა ზარანდია და მარინა კუპრეიშვილი).

ღონისძიებათა მრავალფეროვნება გამოარჩევდა თემურ ბოკუჩავას სახელობის აფხაზეთის №7 საჯარო სკოლას (პედაგოგები: ნარგიზა ნარსია და ნარგიზა მიქაძე).

თაფლის სანთლის სურნელი უხვად იფრქვეოდა მეორე საჯარო სკოლის ჟიული შარტავას სახელობის კლას-კაბინეტში. იქ დაბინავებულ მეოთხეკლასელებსა და მათ დამრიგებელს –მეგი გრიგოლიას სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან ერთად სტუმრობდნენ მუზეუმიდან ქალბატონები მარინე აბრამია და ლალი გულუა. მოსწავლეებმა დამსწრეთ გააცნეს ჟიული შარტავას ცხოვრების ცალკეული წლები.

ძველი სენაკის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა (დამრიგებელი მარინე კუპრეიშვილი) მუზეუმში სტუმრობისას გააცოცხლეს აფხაზეთში სამშობლოსათვის გმირულად თავდადების ეპიზოდები. საჯარო ბიბლიოთეკის მკითხველებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ აღნიშნული თარიღისადმი მიძღვნილ თემატურ გამოფენას. მუზეუმების საგამოფენო სივრცეებში დამთვალიერებლთ მეგზურობას უწევდნენ მეცნიერ-მუშაკები: ნანა ფირცხალავა და მაია ლაშქარავა. ფოტომასალაზე მუშაობდა – ხათუნა ჭაავა. მუზეუმში მოსულებმა მრავლად გადაიღეს მუზეუმში სტუმრობის ამსახველი ფოტოები.

27 სექტემბერს სკოლებში სასწავლო პროცესი დაიწყო წუთიერი დუმილით.

გენო ადამიას სახელობის პირველ საჯარო სკოლის ეზოში ყვავილებით შეამკეს სკოლის ყოფილი კურსდამთავრებულის ნოდარ კანკიას ბიუსტი.

მუზეუმში შეკრებილმა საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო გმირებს, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე ქვეყნის ერთიანობისათვის დაცვას შესწირეს.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა ჟიული შარტავას მუზეუმის სპეციალისტმა ქალბატონმა მარინე აბრამიამ. მან თავდაპირველად დამსწრეთ მიულოცა ჯვართამაღლების ბრწყინვალე დღესასწაული. ამასთან მოიგონა საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული დღე. გაიხსენა სენაკის გამორჩეული შვილი - ჟიული შარტავა. ,,უღვთო იყო მისი სიკვდილი, ის შეეწირა საქართველოს, პატიოსნებასა და კაიკაცობას"... მოიგონა თანაქალაქელები, აწგარდაცვლილნი: გენო ადამია, გურამ გაბესკირია, ლევან ჭუბაბრია, ნოდარ კანკია, რობერტ სანიკიძე, ლინა ეჯიბია და ოთარ გოგოხია.

ემოციურად მძიმედ დატვირთული იყო აფხაზეთიდან დევნილი, სენაკის პედაგოგიური საზოგადოების ღირსეული წარმომადგენლის ქალბატონ ინგა ზარანდიას გამოსვლა. მისი ხელმძღვანელობით ძველი სენაკის საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეებმა წარმოადგინეს ლიტერატურული კომპოზიცია ,,აფხაზეთი ჩვენი ტკივილია"

,,აფხაზეთის ტკივილი მოუშუშებელი იარაა საქართველოსთვის. მჯერა ხვალ თუ არა ზეგ აფხაზეთი დაგვიბრუნდება"... – აღნიშნა თავის გამოსვლაში მუზეუმის სპეციალისტმა, მწერალმა და სენაკის საპატიო მოქალაქემ, ბატონმა ბორის დავითაიამ და წაიკითხა აფხაზეთის მკვიდრის, პოეტ გენო კალანდიას ლექსი აფხაზეთზე.

აფხაზეთიდან დევნილმა ქალბატონმა ლეილა გაბესკირიამ თქვა,რომ ,,ჟიული შარტავამ და აფხაზეთის ომის გმირებმა მომავალ თაობას მამულიშვილობის წარუშლელი მაგალითები დაუტოვეს"...

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სპეციალისტმა, სენაკის საპატიო მოქალაქემ, ბატონმა დამირ კუჭავამ ისაუბრა აფხაზეთის ომზე. გაიხსენა თანაქალაქელები, რომლებიც ქედუხრელად შეეწირნენ საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას და თავის გამოსვლა დაასრულა საკუთარი ლექსის წაკითხვით. შემდეგ შევუერთდით ქალაქის ცენტრში ჟიული შარტავას ბიუსტთან შეკრებილებს და ყვავილებით შევამკეთ ჟიულის, აფხაზეთის სკვერში კი გენო ადამიას, გურამ გაბესკირიასა და ნოდარ კანკიას ბიუსტები. წმინდა იოანე ნათლისმცემლის საკათედრო ტაძარში დავესწარით აფხაზეთის ომში დაღუპულთა მოსახსენიებელ პანაშვიდს, რომელიც აღავლინა დეკანოზმა იოანე კუპრეიშვილმა.

კვირეულის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებებზე უხვად იღვრებოდა სანთლის სურნელი, ცრემლი ერთვოდა ღონისძიებების მონაწილეთა ამაღლებულ განწყობილებას.

მიმდინარე ღონისძიებები იყო ტკივილით, მონატრებითა და გამარჯვების რწმენით გაჯერებული...

მზია ჭაავა
სენაკის ჟიული შარტავას მუზეუმის თანამშრომელი

ჩვენი ხსნა შრომაა

,,დანერგე მომავალი" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიცირებული პროგრამაა. რომელსაც სოფლის განვითარების სააგენტო სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებით ახორციელებს.

პროგრამის მიზანია:

სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტურად გამოყენება მრავალწლოვანი კულტურების გაშენების გზით, რის შედეგადაც ჩანაცვლდება იმპორტირებული პროდუქცია და გაიზრდება საექსპორტო პოტენციალი. გაადვილდება გადამამუშავებელი საწარმოების ნედლეულით მომარაგება და გაუმჯობესდება სოფლად მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა ადგილობრივი, ფიტოსანიტარულად სუფთა, სარგავი მასალების, ნერგების წარმოების ზრდა, რის შედაგადაც შესაძლებელი გახდება იმპორტირებულთან შედარებით იაფი სარგავი მასალების, ინტენსიური ბაღების გაშენებით დაინტერესებული პირებისათვის შეთავაზება. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს საქართველოში ახალი ბაღების გაშენებას და მეხილეობის სექტორის რაოდენობრივ და თვისობრივ გაუმჯობესებას.

ჩვენმა რესპონდენტმა ელგუჯა ნაჭყებიამ "დანერგე მომავლის" ფარგლებში, 100%-იანი დაფინანსებით-ყოლოსა და უეკლო მაყვლის ბაღი გააშენა. ელგუჯა ნაჭყებია თეკლათელია, დამთავრებული აქვს თეკლათის საშუალო სკოლა, თბილისის კუჭუხიძის ჰუმანიტარულ -ეკონომიკური ინსტიტუტის იურიდიული ფაკულტეტი. ჰყავს მეუღლე -ქრისტინე ჯაბუა და ოთხი ქალიშვილი, უმცროსი 2 წლისაა, უფროსი ექვსის. შრომისმოყვარე, მიზანდასახული ახალგაზრდა საოჯახო მეურნეობას მამასთან ჯამბულ ნაჭყებიასთან ერთად უძღვება. ჩვენ ვესაუბრეთ მას თავის საქმიანობის შესახებ: რატომ გადაწყვიტა აღნიშნულ პროექტში მონაწილეობა, რა სამუშაოები ჩაატარა, როგორი მოსავალი მიიღო, როგორ ახდენს მოსავლის რეალიზაციას ... გთავაზობთ საუბრის მოკლე შინაარსს.

ჩვენ ღვთის წყალობით ნიადაგიც კარგი გვაქვს, წყალიც, კლიმატიც. სულ ვფიქრობდი, ისეთი რამე გამეკეთებინა, რაც ელემენტარულ შემოსავალს მოგვიტანდა და სხვისთვისაც სასარგებლო იქნებოდა. რადგანაც ჟოლო საქართველოში მოთხოვნადი პროდუქტია, ამავე დროს ძალიან სასარგებლოა, გაჯერებულია ვიტამინებით, მინერალებით და ანტიოქსიდანტებით, გადავწყვიტე ჟოლოს ბაღი გამეშენებინა. როცა ეს პროექტი გამოჩნდა, გავაკეთე განაცხადი, საჭირო საბუთები შევაგროვე. საბედნიეროდ დაფინასება მივიღე და როგორც იტყვიან საქმეც ,,დაიძრა".

მიწის ანალიზით დავიწყე, ნაკვეთის ოთხი მხრიდან ავიღე მიწა, რომელსაც ჩაუტარდა კვლევა და დადასტურდა, რომ ჟოლოს კულტურის ამ ნაკვეთზე მოყვანა შეიძლება. პროგრამის ფარგლებში მივიღე ნერგები, სარწყავი სისტემა, საყრდენი ბოძები. ბაღი გავაშენე 3000 მეტრზე. ნერგებმა ძალიან კარგად გაიხარეს, მაგრამ შარშანდელმა გვალვამ საკმაოდ გვაზარალა და ბევრი ნერგი გაგვიფუჭდა. დანაკლისი ახალი ნერგებით შევავსეთ. წელსაც მიუხედავად იმისა, რომ სარწყავი სისტემა გამართული გვქონდა და სულ ვრწყავდით, უამინდობამ მაინც ,,შეგვიშალა" ხელი, თუმცა გაცილებით კარგი მოსავალი მივიღეთ.

მიღებული მოსავლის რეალიზაცია ძირითადად სენაკის აგრარულ ბაზარზე მოვახდინეთ.

მოგეხსენებათ რომ ჟოლო სეზონის განმავლობაში იკრიფება. მალფუჭებადი კულტურაა, თუ დროულად არ მოხდა რეალიზაცია, შეიძლება 4-5 საათში გაფუჭდეს. მომავალში დაგეგმილი მაქვს ჩემი მოსავლის ტევადობის სამაცივრე მეურნეობაც გავაკეთო, რომ დაკრეფილ პროდუქტის შენახვა შევძლო. ეს რა თქმა უნდა ყოველდღიურ ხარჯებსაც შეამცირებს და საშუალებას მომცემს სხვაგანაც გავიტანო პროდუქტი სარეალიზაციოდ.

მცირე მეწარმეთათვის აუცილებელია წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობა, რაც მთავრობის პრიორიტეტს წარმოადგენს. სამაცივრე მეურნეობის მოწყობა ყველა მეწარმეს მისცემს საშუალებას მოკრეფილი ჟოლო იქნება თუ სხვა რომელიმე კენკრა, შეინახონ, სავაჭრო ქსელში არ გაიტანონ პროდუქცია და ადგილზე დაელოდონ შემსყიდველს.

ვფიქრობ, რომ ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი რესურსი მიწაა, რომელსაც დამუშავება სჭირდება. ამიტომ არ უნდა დავიზაროთ და გამოვიყენოთ სახელმწიფოს ყოველი ხელშეწყობა, მით უფრო, როცა ეს პროექტი ჩვენი-ფერმერების დაინტერესება-განვითარებაზე, საბოლოო ჯამში კი აგრარული სექტორის, ქვეყნის ეკონომიკის, მეურნეობის გაძლიერებაზეა ორიენტირებული.

შენს დარგულ ნერგს გახარებულს როცა ხედავ, გულს უხარია, თან ძალიან ლამაზია. მინდა ყველას ვუთხრა, შრომაა ჩვენი ხსნა და არ უნდა დაგვზაროს.

მინდა ვიარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო სენაკის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის თანამშრომლებს, რომლებმაც კვალიფიციური კონსულტაცია გამიწიეს.

ვუსურვებთ ბატონ ელგუჯას წარმატებებს საქმიანობაში, შრომისმოყვარეობას, დროის სწორად განაწილებას და სიტუაციის რეალურად შეფასებას. მისი შრომის შედეგი კი მუდამ ხვავიანი, დოვლათიანი ყოფილიყოს.

მაია გერგაია

„ცოდნა სიმდიდრეა, მერე იმისთანა მადლიანი სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება.

ცოდნა იმითია კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის. როგორც საუდარი, როგორც ეკლესია, როგორც თვითონ ღმერთი, – ერთნაირად შეიკედლებს, ერთნაირად იშვილებს ხოლმე გლეხსაც და თავადსაც, უველას ერთნაირად მოუსდება, უველას ერთნაირად დაამშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულმინდობილი და მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდე..."

ბაღისაკენ მივიჩქარი

ნიცა შუბითიძე

ეს ხუჭუჭთმიანი, თვალებბრდღვიალა გოგონა 3 წლის ნიცა შუბითიძეა, საბავშვო ბაღ ,,ფერადი სამყაროს" აღსაზრდელი, ნათია გრიგალაშვილისა და გურიკა შუბითიძის ნებიერა ქალიშვილი.

ცელქი და მოუსვენარი, მშვიდი და დამჯერე, ამასთან თბილი და მოსიყვარულე. ძალიან მოსწონს ბაღი, სადაც თავის მეგობარ ვაკოსთან ერთად დადის. განსაკუთრებით უყვარს ბაია მასწავლებელი.

მშობლები უსურვებენ ნიცას ხალისიან ბავშვობას და ბედნიერ მომავალს.

სკოლა გვიხმობს



ლუკა ლაკია

ლუკა ლაკია მხიარული და საყვარელი ბიჭია. ერთი სული ჰქონდა, როდის შევიდოდა სკოლაში. ის კერძო საერო სკოლა ,,მარიოტას პირველკლასელია. ძალიან მოსწონს სკოლა, ინგა მასწავლებელი, ახალი მეგობრები. ყველა საგნის სწავლას დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება. ,,ზოგჯერ ჩემი ბაღი ძალიან მენატრება, ჩემი სათამაშოებიც, მაგრამ მე უკვე დიდი ბიჭი ვარ და სკოლა მირჩევნია, მალე კარგად კითხვას ვისწავლი და ჩემს პატარა დაიკოს ზღაპრებს წავუკითხავ"-ამბობს ლუკა.

მშობლები მარიამ თოფურია და გიორგი ლაკია უსურვებენ ლუკას წარმატებულ სწავლას, ბედნიერ ბავშვობას, ღირსეულ მომავალს.

სტიქია სენაკის მუნიციპალიტეტში

ძლიერმა წვიმებმა სენაკის მუნიციპალიტეტში პრობლემები შექმნა.

ადიდდა მდინარეები და ღელეები, ცალკეულ ადმინისტრაციულ ერთეულებში დაიტბორა სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

ადიდებულმა ტეხურმა წაიღო ლეძაძამეკვაუთის შემაერთებელი ხიდი.

მთელი ღამის განმავლობაში სტიქიის ადგილზე იმყოფებოდა და შექმნილ ვითარებას, შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად, ადგილზე ეცნობოდა სენაკის მუნიციპალიტეტის მერი, ვახტანგ გადელია.

სტიქიის ზონაში, სახელმწიფო რწმუნებული სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, გიორგი გუგუჩია, მოადგილეებთან - დავით კუხალეიშვილთან და ლუდუკი ხასიასთან, სენაკის მუნიციპალიტეტის მერთან, ვახტანგ გადელიასთან, საკრებულოს წევრთან, საბა ოდიშარიასთან ერთად იმყოფება.



* * *

სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეძაძამეში, სტიქიის შედეგად დანგრეული ხიდი აღდგენილია.

ხელისუფლების სწრაფი რეაგირების შედეგად, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ჩართულობით ოპერატიულად დაიწყო და მოკლე დროში დასრულდა დროებითი ხიდის კონსტრუქციის აწყობა. სტიქიის შედეგად გარესამყაროს სოფელ ლეძაძამეს კვაუთის უბანში მცხოვრები 76 ოჯახი იყო მოწყვეტილი.

მადლობა გაწეული ამაგისათვის

რა ხანია სამყარო ჩემთვის შავი პირბადით შეიმოსა. სევდით და ტკივილით ამევსო სული. პირველ რიგში შვილიშვილები მიქარვებენ ნაღველს, მათ მოფერება- მზრუნველობაში ვიბრუნებ სულს, მათ თვალებში შვილის ანარეკლს ვპოულობ და... ჯერ კიდევ მცირეწლოვნები არიან, მეორე და მეხუთე კლასის მოსწავლეები, მაგრამ დიდებივით აზროვნებენ. მათი მოწყენა ჩემთვის აუტანელია, ავადმყოფობა კი მითუმეტეს. ამას წინათ ორივე მოგვეწამლა, სასწრაფოდ წავიყვანეთ შ.პ.ს ბავშვთა პოლიკლინიკაში (დირექტორი ლ. დგებუაძე), სადაც კვალიფიციური დახმარება აღმოგვიჩინეს. მცირე დროში ბავშვებმა მოიხედეს. თამაშის განწყობა დაუბრუნდათ... საავადმყოფოში პატარა პაციენტებს მედ-პერსონალი თავს ევლება, ისინი ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ გაუმკლავდნენ ნებისმიერ მძიმე შემთხვევას. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ აქ თბილი, მცოდნე და თავის საქმეზე შეყვარებული კოლექტივია. შვილიშვილების გადარჩენისთვის მადლობა მინდა ვუთხრა თითოეულ მათგანს. კერძოდ, ექიმებს: ი. ხარებავას, დ. კოკაიას, ს.ლაშქრავას, ე. გიგიბერიას, ს. მაქაცარიას, მ.ბაღათურიას, ნ.ჭაავას, ნ. ქირიას, ნ. გეგენავას, ნ. მიქაძეს, ვ. პაკელიას, გ.სიჭინავას. ექთნებს: ი. ყუფარაძეს, ი. გაგუას, მ. ჭაავას, ნ.ხვიჩიას, ი. დარსალიას, ვ. ჯალაღონიას, ი. ნინუას, ი.ძიგუას, ლ. ზაქარაიას. სანიტრებს: მ. ნადარაიას, მ.ჯობავას, ნ. ბარქაიას, ლ. ბუღაშვილის, რენდგენლოგს, ლაბორატორიისა და ბუღალტერიის მუშაკებს, ტექნიკურ პერსაონალს.

აგრეთვე მინდა მადლიერება გამოვხატო და შორიდან მოვეფერო ჩემი შვილიშვილების ყოფილ ექიმს, აწ უკვე პენსიაზე გასულს, ყურადღებიანს, თავის საქმის ზედმიწევნით მცოდნეს და ბავშვების მოყვარულს, ქალბატონ ნ. გრიგოლიას.

თქვენი გაწეული ამაგისთვის უფალმა ასგზის სიკეთით გადაგიხადოთ.

ლიანა ადამია

ხსოვნა

თემურ ფოჩხუა

რამდენი ადამიანის სიცოცხლე უხსნია, რამდენის გულს დასდებია სალბუნად, რამდენი ოჯახი ჰყოლია მადლიერი, კიდევ ვინ იცის რამდენ სიცოცხლეს გაარიდებდა სიკვდილს, საკუთრ გულს რომ არ ეღალატა.

მოულოდნელად გარდაიცვალა მრავალრიცხოვან პაციენტთა იმედი, გამორჩეული ექიმი და პიროვნება, სენაკის საპატიო მოქალაქე თემურ ფოჩხუა.

ვუსამძიმრებთ ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებს...

დარწმუნებული ვართ ასეთ ადამიანთა გარდაცვალება სულის საუფლოში გადასვლას ნიშნავს, სადაც ფერცვლილნი აგრძელებენ სიცოცხლეს და ასე რჩებიან ჩვენში, თქვენში, საზოგადოებაში...

ნათელი მის სულს.

გივი (გიგლა) ფოფხაძე



ორმოცი დღე გავიდა შენი გარდაცვალებიდან. უჯანმრთელესი კაცი იყავი, მაგრამ ელვის სისწრაფით მოგიღო ბოლო ულმობელმა სენმა - თავი სიზმარში მგონია. გაუსაძლისი ყოფილა უშენობა, ყოველდღე გელოდები, როდის შემოაღებ კარს, მაგრამ ამაოდ.

უზომოდ განიცდიან უშენობას შენი შვილები: მაია და გია, სიძე, რძალი, შვილიშვილები, რომელთაც შენგან მოფერების გარდა არაფერი ახსოვთ. იყავი მშვიდი, წყნარი, უღალატო, ამიტომ ყველას უყვარდი. ტკივილებმა ვერ შეგცვალეს, ებრძოდი სიკვდილს, სანამ იგი რეალობად არ გექცა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უღალატო სული, აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესო, ნათქვამია-დაე ასე იყოს.

გზა გაგინათოს უფალმა შენს სამყოფელში.

ოჯახი

კროსვორდი: ფეხბურთი



ცარიელი უჯრები შეავსეთ ქართველი ფეხბურთელების გვარებით, ისე, რომ გამუქებულ უჯრებში მიიღოთ ჩვენი სახელოვანი ფეხბურთელის ხვიჩა კვარაცხელიას გვარი..

შეადგინა

მაია გერგაიამ

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

კორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიკა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 223779,223711, 223499